ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2020 წლის 15 ივნისის სხდომის

ოქმი # 4

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა ჩატარდა ელექტრონული ტექნოლოგიების მეშვეობით.

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 34 წევრიდან – 21.

დღის წესრიგი:

1. დოქტორანტ მიხეილ შავთვალაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის დამტკიცება

   მომხს: თ. მატარაძე

2. „საზოგადოებრივი გეოგრაფიის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ გიორგი ლეკვეიშვილის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცება

   მომხს: თ. მატარაძე

3. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2019 – 2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დასკვნითი გამოცდებისა და საბაკალავრო და სამაგისტრო დაცვების ჩატარების შესახებ

   მომხს: თ. დოლბაია

მოისმინეს: 1. დოქტორანტ მიხეილ შავთვალაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ ინფორმაცია გააკეთა დეკანის მოადგილე თ. მატარაძემ.

მ. შავთვალაძე „პოლიტიკის მეცნიერების" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტია, სამეცნიერო ხელ-ლია ს. დუნდუა, სადისერტაციო ნაშრომის სათაურია "კონსოციონალური დემოკრატიული მოდელი პოსტსაბჭოთა მრავალეთნიკურ სახელმწიფოში (საქართველოს მაგალითი)"

აზრი გამოთქვეს: ს. დუნდუამ, თ. დოლბაიამ, ზ. აბაშიძემ და სხვ.

დაადგინეს: დოქტორანტ მიხეილ შავთვალაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღად დამტკიცდეს 2020 წლის 18 ივნისი, დრო: 16.00 სთ. დაცვა შედგება მე-6 კორპუსის # 303 აუდიტორიაში

მოისმინეს: 2. „საზოგადოებრივი გეოგრაფიის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ გიორგი ლეკვეიშვილის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ ისაუბრა თ. მატარაძემ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ვ. მელიქიძემ, თ. დოლბაიამ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს „საზოგადოებრივი გეოგრაფიის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ გიორგი ლეკვეიშვილის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის შემადგენლობები:

დოქტორანტი: გიორგი ლეკვეიშვილი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვალერიან მელიქიძე, ასოცირებული პროფესორი.
სადისერტაციო ნაშრომის სათაური: **„შინამეურნეობების ენერგომოხმარების თავისებურებები საქართველოს სასოფლო და მცირე საქალაქო დასახლებებში"**

**სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები:**

1. **იოსებ სალუქვაძე** - გეოგრაფიის დოქტორი, თსუ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი.
2. **მურმან მარგველაშვილი** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი (აკადემიური დოქტორი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების ინსტიტუტის დირექტორი
3. **კარენ ანნე პარკილი** - გეოგრაფიის დოქტორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის და გარემოს საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, იორკის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი

**სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:**

1. **თამარ დოლბაია** - საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
2. **გიორგი კვინიკაძე** - საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორი, თსუ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

3. **ნინო პავლიაშვილი -** გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, თსუ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
4. **ია იაშვილი -** გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, თსუ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
5. **ირაკლი შეყრილაძე -** ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სრული პროფესორი;
6. **ვაჟა ტრაპაიძე -** ტექნიკის დოქტორი, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
7. **გიორგი მელაძე -** ეკონომიკის დოქტორი, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

მოისმინეს: 3. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2019 – 2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დასკვნითი გამოცდებისა და საბაკალავრო და სამაგისტრო დაცვების ჩატარების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა, თ. დოლბაიამ. მან აღნიშნა , რომ რექტორის #107/01-01, 12.06 2020 და ფაკულტეტის დეკანის #14-30, 01/06/2020 ბრძანებების შესაბამისად გაწერილ აქტივობებს უნდა დაემატოს დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები

აზრი გამოთქვეს : ნ. ჭალაგანიძემ, გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა, ს. დუნდუამ, რ.ხითარიძემ, ე. ბებერაშვილმა, ა. სალარიძემ, თ. მატარაძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი)

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: მ.შამილიშვილი, ასოცირებული პროფესორი

1. თამარ დოლბაია
2. გოგსაძე გიორგი
3. აბაშიძე ზურაბ
4. აბაშიძე ზვიად
5. პავლიაშვილი ნინო
6. მატარაძე თეონა
7. ალექსანდრე კუხიანიძე
8. ნანა ტალახაძე
9. ელენე ბებერაშვილი
10. ვალერიან მელიქიძე
11. სალომე დუნდუა
12. რატი ხითარიძე
13. შაკო ლაშხია
14. მალხაზ მაცაბარიძე
15. ნინო ჭალაგანიძე
16. მარიამ ბერიანიძე
17. ნინო დურგლიშვილი
18. რევაზ ჯორბენაძე
19. ალექსანდრე გაბაშვილი
20. მანანა შამილიშვილი
21. იაგო კაჭკაჭიშვილი

**დანართი #1**

**ზეპირი გამოცდა „ზუმში“**

- ზეპირი გამოცდა ტარდება ბილეთებით ან/და პრეზეტაციის სახით.
- ერთი სტუდენტის გამოკითხვა გრძელდება 20 წუთი.
- **საბაკალავრო** საფეხურის საგნებში - 15 ბილეთი.
- **სამაგისტრო** საფეხურის საგნებში - 10 ბილეთი.
- შეფასება: 60 ქულიანია.

**2, 3 4, 5 და 6 საკითხიანი ბილეთებისათვის თითოეული საკითხის შეფასების კრიტერიუმები:**

| | **ბილეთში 2 საკითხი, თითოეული ფასდება 30 ქულით** | **ბილეთში 3 საკითხი, თითოეული ფასდება 20 ქულით** | **ბილეთში 4 საკითხი, თითოეული ფასდება 15 ქულით** | **ბილეთში 5 საკითხი, თითოეული ფასდება 12 ქულით** | **ბილეთში 6 საკითხია, თითოეული ფასდება 10 ქულით** | **კრიტერიუმები** |
|---|---|---|---|---|---|---|
| **1** | 26-30 | 18-20 | 14-15 | 11-12 | 9-10 | პასუხი სრულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავადაა გადმოცემული. სტუდენტი ზედნიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას. შეცდომა არ არის და მსჯელობა მაღალ დონეზეა. |
| **2** | 21-25 | 15-17 | 12-13 | 9-10 | 7-8 | პასუხი სრულია. არსებითი შეცდომები არ არის. სტუდენტი ძალიან კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას. მსჯელობს კარგად. |
| **3** | 16-20 | 12-14 | 10-11 | 7-8 | 5-6 | პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი . სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას. |
| **4** | 11-15 | 9-11 | 8-9 | 5-6 | 3-4 | პასუხი არაა სრული. სტუდენტი საკითხს დამაკმაყოფილებლად გადმოსცემს. აქვს შეცდომები. |
| **5** | 6-10 | 6-8 | 6-7 | 3-4 | 2 | პასუხი ნაკლოვანია, სტუდენტი ფრაგმენტულად გადმოსცემს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას. აღინიშნება, რამდენიმე არსებითი შეცდომა. |
| **6** | 1-5 | 3-5 | 4-5 | 1-2 | 1 | პასუხი არსებითად მცდარია. არასაკმარისადაა გადმოცემული პროგრამით გათვალისწინებული მასალა. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება ეძლევა. |
| **7** | 0 | 0-2 | 0-3 | 0 | 0 | პასუხი საკითხის შესახებ არ არის, ან არ უპასუხა |

**პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები:**

| | შეფასების კრიტერიუმები | კრიტერიუმების ქულა |
|---|---|---|
| | **შინაარსობრივი მხარე** | 40 ქულა |
| | საკითხის ცოდნა და კრიტიკული გააზრება | 15 ქულა |
| | საკითხთან დაკავშირებული ლიტერეტურის მიმოხილვა | 15 ქულა |
| | საკითხის ანალიზის და დასკვნების გამართულობა | 10 ქულა |
| | **ფორმალური მხარე** | |
| | ენობრივი და სტილისტური გამართულობა | 10 ქულა |
| | გაფორმება (ციტირება, სქოლიო, სარჩევი, ანოტაცია და ა.შ.) | 10 ქულა |
| | | ჯამი: 60 ქულა |

**დანართი #2**

## ფინალური გამოცდების შეფასების კრიტერიუმები
## ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების
## პრაქტიკულ საგნებზე

დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენს მიმართულებაზე საგნების ნაწილის ფინალური გამოცდებისთვის უნიფიცირებული კრიტერიუმებით შეფასება შეუძლებელია.

წინამდებარე დოკუმენტში თითოეული საგნის შეფასების კრიტერიუმები, დისციპლინების მიხედვით, ცალ-ცალკეა წარმოდგენილი. ამის აუცილებლობა, ისევ და ისევ მედიასაშუალებების რადიკალურად განსხვავებული ბუნებითაა განპირობებული.

**თუმცა, რამდენიმე კრიტერიუმი საგნიდან საგანში მეორდება, გამოვყოფთ მათ:**

I. საგამოცდო მასალის მედიასაშუალების გამოსახვითი სტრუქტურის გათვალისწინებით წარმოდგენის უნარი;
II. იდეისა და თემატიკის სწორად შერჩევისა და გადმოცემის უნარი;
III. აზრის (ჩანაფიქრის შესაბამისად) ჩამოყალიბების, ანალიზისა და სინთეზის უნარი;
IV. შემოქმედებითი და ტექნიკური მხარის გამართულობა.

| **ტელემედია (პრაქტიკუმი)**<br><br>სემესტრის ბოლოს, ფინალურ გამოცდაზე სტუდენტი წარმოადგენს თემატურ სიუჟეტს, რომლის ჯერ სასცენარო განაცხადი, შემდეგ ლიტერატურული, მოგვიანებით კი სარეჟისორო სცენარები და პრომო რგოლი სემესტრის მანძილზე აქვს მომზადებული და ჩაბარებული.<br><br>სიუჟეტი სმარტფონითაა გადაღებული. | |
|---|---|
| 1. **სიუჟეტის შინაარსობრივი მხარე:**<br>**შეფასების კრიტერიუმები:**<br>• სიუჟეტის იდეა;<br>• არქიტექტონიკა;<br>• აქცენტები;<br>• რესპონდენტების შერჩევის მართლზომიერება. | 20 |
| 2. **მასალის ვიზუალური ნაწილი:**<br>**შეფასების კომპონენტები:**<br>• ვიდეოკადრი;<br>• კომპოზიცია;<br>• კომპიუტერული გრაფიკა;<br>• ვიდეოკადრების მონაცვლეობა;<br>• მონტაჟი;<br>• განათება. | 20 |
| 3. **ვერბალური ნაწილი**<br>**შეფასების კრიტერიუმები:**<br>• ტექსტის გამართულობა:<br>• ტექსტთან შესაბამისობა;<br>• ტექნიკური სტანდარტის დაცვა;<br>• გამართულობა;<br>• გამოყენების მიზანშეწონილობა;<br>• დინამიურობა;<br>• შესაბამისობა მუსიკასა და აუდიო ეფექტებთან. | 20 |
| სულ: **60 ქულა** | |

**ბეჭდური მედია 2**

კურსი არის პრაქტიკული.
ფინალური გამოცდა ემყარება სტუდენტების მიერ მომზადებული სტუდენტური–სასწავლო ჟურნალის პრეზენტაციას.

**Zoom–ის მეშვეობით მოხდება თითოეული სტუდენტის მიერ ჟურნალის მომზადებაში გაწეული გაწეული მუშაობა შემდეგი კრიტერიუმებით:**

- ჟურნალის დაგეგმვაში მონაწილეობა/აქტივობა – 6 ქულა;
- ნიუსრუმებში მონაწილეობა – 6 ქულა;

**ფინალური პროდუქტისთვის მომზადებული მასალის გამართულობა:**

- სათაური, ლიდი – 5
- არგუმენტირება, წყაროები/ბალანსი – 5
- ეთიკური ნორმების დაცვა– 3
- სტილი, პუნქტუაცია – 4
- დასკვნა – 3

**შიდასაარედაქციო სამუშაოების შესრულება:**

- მაკეტირება – 10
- დაკაბადონება რედაქტირება – 10
- სტილისტ–კორექტორის ფუნქციის შესრულება – 8 ქულა.

სულ: **60 ქულა**

**რადიომედია (პრაქტიკუმი)**

ზუმში კომბინირებული გამოცდა

გამოცდა ჩატარდება მზა ტოკშოუს სახით, 25 წუთი. ჯგუფის თითოეულ წევრს, სარედაქციო სტრუქტურის პრინციპით, სეთავსებული აქვს კონკრეტული პოზიცია (პროდიუსერი, წამყვანი, ხმის რეჟისორი და სხვ.) ჯგუფის ერთ-ერთი წევრი საგამოცდო ნამუშევარს მედიაკრიტიკის ამპლუაში შეაფასებს.

გადაცემის თემაა საქართველოს რადიო 95 წლის. იქნებიან მოწვეული სტუმრებიც.

| |
|---|
| რადიოს გამოსახვითი საშუალებების გამოყენება; |
| სარედაქციო სტრუქტურის კონკრეტული ერთეულის ფუნქციების შესრულების უნარი; |
| თემის ანალიზი. |
| სულ: **60 ქულა** |

| **აგროჟურნალისტიკა**<br>ორ ნაწილად ბარდება: სტატია + ესსე |
|---|
| **სტატია - 40 ქულა**<br>,,პანდემია და საქართველოს სოფლის მეურნეობა " ( სათაური პირობითია)<br>არანაკლებ სამი გვერდისა,<br>1.სათაურის რელევანტურობა - 3 ქულა.<br>2. ლიდი ( არა უმეტეს 40 სიტყვისა) - 3 ქულა<br>3. ნაშრომის სტრუქტურა - (ტექსტის კომპონენტების სწორად დაგეგმვა და თანამიმდევრული განლაგება)- 5 ქულა<br>4. ფიზიკური წყაროების მიზნობრივი გამოყენება - 5 ქულა<br>5. ადამიანური წყაროების მიზნობრივი გამოყენება - 5 ქულა<br>6. ინტერნეტწყაროების მიზნობრივი გამოყენება - 5 ქულა<br>7. ფონური ინფორმაცია - 5 ქულა<br>8. წერის კულტურა - (ენობრივად და სტილისტურად გამართული)- 6 ქულა<br>9. სტატიის ტექნიკური მხარე (გაფორმება -ფოტო, შრიფტი და ა. შ.) - 3 ქულა |
| **ესსე** -აგრომიმართულებით - ნებისმიერი მედიასაშუალების ან გადაცემების განხილვა **– 20 ქულა**<br>შეფასების კრიტერიუმი :<br> თეორიული მასალის ფლობა - 5 ქულა<br> ემპირიული მასალის გამოყენების უნარი - 5 ქულა<br> არგუმენტირებული მსჯელობისა და დასკვნის გამოტანის უნარი-- 5 ქულა<br> წერის კულტურა - 5 ქულა |
| სულ: **60 ქულა** |

| ონლაინმედია (ბილინგვური პროგრამა) |
| --- |
| საგამოცდოდ თითოეული სტუდენტი ამზადებს პოსტგაშუქების ან პრეგაშუქების ნიმუშს და ტვირთავს საკუთარ გაკეთებულ ბლოგზე. |
| საგამოცდო დავალების შეფასების კრიტერიუმები:<br>1. ბლოგის გამართულობა - 10 ქულა<br>2. მასალის მულტიმედიურობა - 20<br>3. თემის შერჩევა, წყაროები და მასალის ფორმა - 15 ქულა<br>4. ორიგინალური ნაწარმოები - 15 ქულა |
| სულ: **60 ქულა** |

| მეტყველების ტექნიკა 2 |
| --- |
| პრეზენტაციები „ზუმში“, სტუდენტმა ზუმის კამერის წინ უნდა წაიკითხოს 5 თემატურად განსხვავებული მედიამასალა. კითხვის დროს უნდა გაითვალისწინოს მეტყველების ტექნიკის წესები. |
| 1. ტექსტის გამართულობა;<br>2. ბგერების სწორად წარმოთქმა;<br>3. მართლმეტყველება და ინტონაციები;<br>4. მახვილების მართებულად გამოყენება;<br>5. სწორი სუნთქვა;<br>6. მიმიკა. |
| სულ: **60 ქულა** |

| მეტყველების კულტურა 2 (არაჟურნალისტებისთვის) |
| --- |
| პრეზენტაციები „ზუმში“, სტუდენტმა უნდა მოამზადოს ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი ბგერათა კომპლექსური სავარჯიშოები და ენის გასატეხები. ასევე, წაიკითხოს ტესტი, სადაც დაცული იქნება მართლმეტყველების კანონები. |
| 1. ტექსტის გამართულობა;<br>2. ბგერების სწორად წარმოთქმა;<br>3. მართლმეტყველება და ინტონაციები; |

| | |
|---|---|
| 4. მახვილების მართებულად გამოყენება;<br>5. სწორი სუნთქვა;<br>6. მიმიკა. | |
| | სულ: **60 ქულა** |

| | |
|---|---|
| **კონვერგირებული ნიუსრუმი (მუშაობა მულტიპლატფორმებისთვის)**<br>სემესტრის ბოლოს, ფინალურ გამოცდაზე სტუდენტი წარმოადგენს მულტიმედიურ პროექტს - საიტს, რომლის სინოფსისი, მომზადების გეგმა და გარკვეული ფორმტები სემესტრის განმავლობაში უკვე აქვს მომზადებული და განხილული<br>მულტიმედია პროექტი მომზადებულია უფასო ონლაინ ხელსაწყოების გამოყენებით | |
| **პროექტის შინაარსობრივი მხარე:**<br>**შეფასების კრიტერიუმები:**<br>• იდეა;<br>• არქიტექტონიკა;<br>• აქცენტები;<br>• ფორმატების შერჩევა | 20 |
| **მასალის ვიზუალური ნაწილი:**<br>**შეფასების კომპონენტები:**<br>• ფორმატული მრავალფეროვნება<br>• ვიზუალიზაცია | 20 |
| **ვერბალური ნაწილი**<br>**შეფასების კრიტერიუმები:**<br>• ტექსტის გამართულობა:<br>• ტექსტთან შესაბამისობა;<br>• ტექნიკური სტანდარტის დაცვა;<br>• გამართულობა;<br>• გამოყენების მიზანშეწონილობა;<br>• დინამიურობა;<br>• შესაბამისობა მუსიკასა და აუდიო ეფექტებთან. | 20 |
| სულ: **60 ქულა** | |

| **სამაუწყებლო მედია რადიო 2 (ბილინგვური პროგრამა)**<br><br>თითოეული სტუდენტი ამზადებს რადიოპროფილს, ქრონომეტრაჟი 10-15 წუთი, ტვირთავს ნებისმიერ აუდიოპლატფორმაზე. | |
|---|---|
| საგამოცდო დავალების შეფასების კრიტერიუმები:<br>• საინტერესო პერსონაჟის მოძიება | 20 ქულა |
| • რადიოს გამოსახვითი საშუალებების გამოყენება | 20 ქულა |
| • ჟანრული ელემენტების გამოყენება | 20 ქულა |
| | სულ: **60 ქულა** |

| **თანამედროვე ტელედოკუმენტალისტიკა (პრაქტიკუმი)**<br><br>**ზეპირი** - Zoom - სტუდენტების მიერ გადაღებული ფილმების ჩვენება-განხილვა | |
|---|---|
| თემის შერჩევა(აქტუალურობა) | 20 ქულა |
| აუდიო-ვიზუალური რიგის აწყობა | 20 ქულა |
| შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელება | 20 ქულა |
| | სულ: 60 ქულა. |